ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3296075

ნომერი: AR1507009

თარიღი : 25.05.2017

გაცემის თარიღი : 02.06.2017

გაცნობის თარიღი : 02.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , ქუჩა ახმეტელი , N 10ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ საყევარიშვილი პ/ნ 01011022848
- თბილისი ალ.წურწუმიას ქ. N 5

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს "ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი" კოდი: 204563123

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიღმის მასივი, ქუჩა ახმეტელის #10ა, შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.02.010.032), არსებული ღობის რეკონსტრუქციასა და გზის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით დასტურს.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016140258 11/03/2016 10:43:58 საკადასტრო კოდი N 01.13.02.010.032; საპროექტო ფოტომონტაჟი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსოპ ქონების მართვის სააგენტოს 19.05.2017 წლის QN1499091 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 15.05.2017 წ. #1140189 წერილი; შპს „ტელეიმედი“ს 2017 წლის 27 აპრილის წერილი; მინდობილობა; სს „თელასი“ს წერილი; სილქნეტის წერილი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს, წარმოდგენილი დოკუმენტაცის შესაბამისად, ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიღმის მასივი, ქუჩა ახმეტელის #10ა, შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.02.010.032), არსებული ღობის რეკონსტრუქციისა და გზის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge